საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11410/01
04/12/2020

11410-01-2-202012041508

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #76ბ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით თქვენ მიერ 2020 წლის 13 ნოემბერს წარმოდგენილი N17769 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ყვარელში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ამასთან, გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზდჩ-ს ნორმების პროექტში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი მიმღები წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური დახასიათება, ასევე შეწონილი ნაწილაკებისთვის ზღვრულად დასაშვები ჩაშვების კონცენტრაციად მიღებული მაჩვენებელი არ შეესაბამება გამწმენდი ნაგებობის გაწმენდის ეფექტურობას, რაც საჭიროებს დაზუსტებას. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშშიც;

გარდა ამისა, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციისას, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, არ არის მოსალოდნელი მავნე ნივთიერებების ემისია და საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილ მავნე ნივთიერებებზე არ დგინდება გაფრქვევის ნორმები. აღნიშნულის დასაბუთების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის გამწმენდი ნაგებობის/დანადგარის საპასპორტო მონაცემები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების

გათვალისწინებით შესწორებული გზშ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე